30 და 31 მარტს გაიმართა სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის შეხვედრები.

„ტორპედო“ (მოსკოვი) – „დინამო: (თბილისი) 0:0
მოსკოვი. „ტორპედოს“ სტადიონი. 30 მარტი.

„ტორპედო“: სარიჩევი, სოლოვიოვი, კოვაჩი, ჟუკოვი, როგოვსკოი, გრეჩნევი, ი. სავიჩევი, პისარიევი, ნ. სავიჩევი, შირინბეკოვი, აგაშკოვი.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, თედეევი (არზიანი, 89), სვანაძე, ცვეიბა, ცაავა (კაჭარავა, 88), ფანცულაია, გოგიჩაიშვილი.

მსაჯი ტ. ბეზუბიაკი (ლენინგრადი).

გააფრთხილეს კეტაშვილი.

დუბლიორები - 2:1. დინამოელთაგან ბურთი გაიტანა ბაკურაძემ.

ძველი მეტოქეების მატჩი ორივე გუნდმა აქტიური დაზვერვით დაიწყო. შუა მინდორზე ფეხბურთელები თამამად, ინიციატივიანად, უნარიანად მოქმედებდნენ, მაგრამ მეტოქის კართან მიახლოებისას სისტემატურად თავს იჩენდა უზუსტობანი, კომბინაციები, წყდებოდა მცველებთან შეტაკებისას და მოიერიშე რგოლების მოთამაშეებსაც თავიდან უხდებოდათ იმის გაკეთება, რაც მათ უკვე ჰქონდათ გაკეთებული. ამ პოზიციურ ბრძოლაში დრო გადიოდა, თამაში შუა მინდორში მიმდინარეობდა და უშუალო საფრთხე მეკარეებს კარგა ხანს არ არა ჰქონიათ. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ 28-ე წუთი, როცა მარჯვენა ფლანგიდან მიღებული გადაცემა თავით გაგზავნა კარისკენ ნ. სავიჩევმა, მაგრამ გაბელიამ, რომელმაც შეუცდომლად ითამაშა, მიუსწრო ბურთს.

საერთოდ, სახიფათო მომენტები ამ მატჩში ნაკლებად იქმნებოდა. კარგი შესაძლებლობა მიეცა თედეევსაც, რომელმაც ვერ შეძლო მისი გამოყენება, ხოლო 42-ე წუთზე გაბელიამ პისარევის დარტყმის შემდეგ კარი აშკარა გოლისგან იხსნა.

შესვენების შემდეგ ფეხბურთელები გაცილებით უფრო სწრაფად, მონდომებით თამაშობდნენ, მოიმატა ტემპმა, მატჩიც სანახაობრივად გაცილებით უფრო საინტერესო გახდა. შესაძლოა ტაქტიკურად ნათლად გამოკვეთილი სამოქმედო სქემა არც ერთი გუნდის მოქმედებაში არ ჩანდა, მაგრამ საერთო დაძაბულობა მაინც დიდი იყო. ორივე გუნდის ფეხბურთელები საკმაოდ ხშირად არღვევდნენ თამაშის წესს. ეს იყო ჩვეულებრივი „მცირე ფოლის“ ტაქტიკა. მსაჯი, ჩვეულებრივ, ჯარიმებით და სიტყვიერი შენიშვნებით იფარგლებოდა, მაგრამ კეტაშვილს კი, სამწუხაროდ, ყვითელი ბარათი აჩვენა.

მატჩის დასასრულს ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. ტორპედოელები ბევრს ეცადნენ წარმატებისთვის მიეღწიათ, თუმცა სტუმრებსაც აშკარად შეეძლოთ მატჩის მოგება და მაინც, მოსკოვში „ტორპედოსთან“ აღებული ქულა გათამაშების ამ ეტაპზე გარკვეულ წარმატებად მიგვაჩნია. დინამოელი ფეხბურთელები შეუპოვრად და ძალების მთელი მობილიზებით იბრძოდნენ.

შარშანდელი საკავშირო ჩემპიონატის 4 ტურის შემდეგ თბილისის „დინამოს“ 4 ქულა ჰქონდა, მაგრამ მაშინ ჩვენმა გუნდმა 2 მატჩი წააგო. ამჟამად დინამოელები წაუგებლად იბრძვიან, თუმცა 4 ფრე 4 მატჩში, ცოტა არ იყოს, არ ეგუება ჩვენი გუნდის სტიქიას. შინ ახლა ზედიზედ ორი მატჩი გვაქვს ჩასატარებელი და, იმედია, დინამოელი ფეხბურთელები უკვე გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

“ლელო” 1.04.1989